სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 84 (ბ)

„1" სექტემბერი 2016 წ.

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, **სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო** (შემდგომში **„შემსყიდველი"**) წარმოდგენილი მისი უფროსის მოადგილის ირაკლი გოდუაძის სახით და მეორეს მხრივ, **შ.პ.ს. „ლუკოილ-ჯორჯია"** (შემდგომში **„მიმწოდებელი"**) წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა ქათამაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს იმ ტერიტორიული სამსახურების სააგტომობილო საწვავით (2016 წლის ლიმიტი) მომარაგების მიზნით, რომელთა სამოქმედო ტერიტორიაზე 2016 წლის ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელთა ბენზინგასამართი სადგურები შორ მანძილზეა ან საერთოდ არ არის (საწვავისა და სხვა ხარჯების არარაციონალური ხარჯვის თავიდან აცილების მიზნით), „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 4 დეკემბრის №11 ბრძანების მე-5 მუხლის, ასევე ნავთობპროდუქციის (საწვავის) 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო დოკუმენტაციის 5.9 პუნქტის (საწვავის შესყიდვა გამარჯვებული მიმწოდებლის აგს-ის 15 კმ-ზე მეტი დაშორების შემთხვევაში), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 3[1] პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს №2956 ნებართვის საფუძველზე, (გამარტივებული შესყიდვის შეთანხმება) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება") და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე და მისი პირობების გათვალისწინებით, „შემსყიდველი" „მიმწოდებლისაგან" შეისყიდის 400 (ოთხასი) ლიტრ – **პრემიუმის მარკის საწვავს (შემდგომში „საწვავი")** ეტაპობრივად პლასტიკური ბარათების მეშვეობით 2016 წლის განმავლობაში, (CPV კოდი: 09132000 - ბენზინი.).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ერთი ლიტრი საწვავის ღირებულება შეადგენს **1.59 ლარს**, ხოლო წინამდებარე „ხელშეკრულებით" განსაზღვრული გასაყიდი საწვავის სრული ღირებულება შეადგენს **636 (ექვსასოცდათექვსმეტი) ლარს**.

2.2 საწვავის ფასი შეიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს და საწვავის შენახვის ხარჯს ავტოგასამართი სადგურებიდან მყიდველის მიერ საწვავის გატანამდე. სამომხმარებლო ბაზარზე საწვავის ღირებულების შემდგომი შეცვლა არ იქონიებს გავლენას უკვე გაცემულ საწვავზე.

2.3. პლასტიკური ბარათის (დანართი №4) საშუალებით „საწვავი"-ს მიწოდება განხორციელდება წინამდებრე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართ №1-ში მითითებულ ავტოგასამართ სადგურებზე.

3. საწვავის მიწოდების პირობები

3.1 პლასტიკური ბარათების (რომლის გამოყენების პირობები განისაზღვრება ხელშეკრულების №2 დანართით) მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მიერ განაცხადის გაკეთებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა. მიმწოდებელი დაამზადებს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცემს შემსყიდველს მოთხოვნილი რაოდენობის პლასტიკურ ბარათებს, ხოლო შემსყიდველის ინტერნეტ ანგარიშზე (დანართი №5) საწვავის ჩატვირთვას მიმწოდებელი განახორციელებს განაცხადის გაკეთებისთანავე.

3.2 პლასტიკური ბარათების საშუალებით **„საწვავი"-ს** მიწოდება განხორციელდება დანართი 1-ით განსაზღვრულ ავტოგასამართ სადგურებზე.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო **„საწვავი"**.

3.4 **„საწვავი"-ს** ტალონების მიწოდებასთან და პლასტიკური ბარათებზე **„საწვავი"-ს** ჩატვირთვასთან ერთად მიმწოდებელი შემსყიდველს გამოუწერს ნავთობპროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშფაქტურას.

3.5 **„საწვავი"-ს** პლასტიკური ბარათების (დანართი №4-ით განსაზღვრული სანომრე ნიშნების მიხედვით) მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის იურიდიულ მისამართზე: ***ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია.***

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების წესი

4.1 ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ფინანსური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ირაკლი ბარამიძე, რომელიც ასევე ხელს მოაწერს მხარეთა შორის ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებს.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

5.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

5.3 შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამოწერიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა.

5.4 შემსყიდველის მიერ შესყიდვა ხორციელდება 2016 წლის **სახელმწიფო ბიუჯეტის** ასიგნებების ფარგლებში.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება დაიშვება მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2017 წლის 31 იანვრამდე ან „მხარეთა" მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას (გარანტიის არსებობის შემთხვევაში), თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9.4 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ფორს-მაჟორული სიტუაციის დასრულებიდან, იმ დროს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაბამის გონივრულ ვადებში უზრუნველყონ ფორს-მაჟორის დადგომამდე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით, მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

11. სხვა პირობები

11.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

შემსყიდველი:
სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
მისამართი: ქ. თბილისი, გულუას № 6.
ს/კ 204578581. ტელ: 2753910. საბანკო რეკვიზიტები:
ცენტრალური ხაზინა, კოდი TRESGE22,
ა/ა GE24NB0330100200165022. (კოდი380401)

ირაკლი გოდუაძე

სააგენტოს უფროსის მოადგილე

მიმწოდებელი:
შპს „ლუკოილ-ჯორჯია"
მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა
სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარედ
ტელ: 238 99 97; ფაქსი: 238 99 92;
საიდენტიფიკაციო კოდი 204976302
საბანკო რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკის ც.ფ.
კოდი BAGAGE22
ანგარიშის № GE52BG0000000117398101.

ზაზა ქათამაძე

დირექტორი

შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-სა და სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს შორის 2016 წლის – სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 84 (ბ) ხელშეკრულების დანართი №1 ავტოგასამართი სადგურების ჩამონათვალი

ქ. თბილისი

1. საბურთალო, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია
2. დიდუბე, მტკვრის მარცხენა სანაპირო, “ვახუშტის ხიდის” მიმდებარე ტერიტორია
3. საბურთალო, გმირთა მოედანთან, „ლაგუნა ვერეს“ წინ
4. დიდუბე, მტკვრის მარცხენა სანაპირო, რესტორან „იმერეთთან“
5. დიდუბე, წერეთლის გამზირი, “სამთოქიმიის” მოპირდაპირე მხარეს
6. დიდუბე, წერეთლის გამზირი, “სამთოქიმიის” მიმდებარე ტერიტორია
7. გლდანი, შუშელიძის ქ. №24, მეტრო “სარაჯიშვილის” მიმდებარე ტერიტორია
8. დიღომი, აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. (თბილისის შემოსასვლელში)
9. დიღომი, აღმაშენებლის მე-13 კილომეტრი; (თბილისის გასასვლელში)
10. დიღომი, აღმაშენებლის ხეივნისა და მიქელაძის ქუჩის გადაკვეთა
11. მ. დრმაღელის მიმდებარე ტერიტ. ს/ს „ცისარტყელა“-ს მოპირდაპ მხარეს
12. საბურთალო, გელოვანის გამზირი №6, მეღვინეობა-მევენახეობის ინსტიტ მიმდ ტერიტორია
13. ვაკე, თამარაშვილის ქუჩა, ყაზბეგის გამზირის გადაკვეთასთან
14. კახეთის გზატკეცილი, ორხევის ხიდთან (თბილისის შემოსასვლელში)
15. კახეთის გზატკეცილი, მიწისქვეშა გადასასვლელის მიმდ. ტერიტ (თბილისის გასასვლელში)
16. ავლაბარი, წურწუმიასა და კროპოტკინის ქუჩების მიმდებარე ტერიტორია
17. ორთაჭალაჰესთან, №72-ე სკოლის მიმდებარე ტერიტორია
18. ვარკეთილი, ჯავახეთის, კალოუბნის და შუამთის ქუჩებს შორის

რეგიონები

1. ქ. ხაშური, ბორჯომის გადასახვევთან.
2. თბილისი-სენაკის ავტომაგისტრალი, სოფ. ოკამი
3. ქ. ფოთი, რუსთაველის რკალი.
4. ქ. ქუთაისი, ლ. ასათიანის №98 მისასვლელი ჭავჭავაძის მხრიდან.
5. ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. №18
6. ქ. ონი, ვახტანგ VI ქუჩა №8ა
7. ქ. ახალქალაქი, დ. აღმაშენებლის №21
8. ქ. ბათუმი, გოგოლის ქ. №1
9. ქ. ბათუმი, აღმაშენებლის №4 (მეგობრობის №2)
10. ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. №25
11. ქ. გორი, გორი-ცხინვალის გზატკეცილი №2
12. ქ. ჭიათურა შიო მღვიმელის №4ბ
13. ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის №185
14. მცხეთის რაიონი, სოფ. მისაქციელი
15. ბაკურიანი, ბორჯომის ქუჩა.
16. ნინოწმინდა, თავისუფლების ქ №35
17. ქ. ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ №10
18. ქ. ქობულეთი, მ.ალბაშიძის №14
19. წყალტუბოს რაიონი, სოფ. ქვიტირი
20. გურჯაანის რაიონი, სოფ. ჩუმლაყი.
21. ქ. ხონი, ჭანტურიას ქ.№157.
22. ქ. ტყიბული, ტყვარჩელის ქ. №27

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
მისამართი: ქ. თბილისი, გულუას № 6.
ს/კ 204578581. ტელ: 2753910. საბანკო რეკვიზიტები:
ცენტრალური ხაზინა, კოდი TRESGE22,
ა/ა GE24NB0330100200165022. (კოდი380401)

მიმწოდებელი:
შპს „ლუკოილ-ჯორჯია“
მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარედ
ტელ: 238 99 97; ფაქსი: 238 99 92;
საიდენტიფიკაციო კოდი 204976302

<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>
საქართველოს ბანკის ც.ფ.
კოდი BAGAGE22
ანგარიშის № GE52BG0000000117398101

ირაკლი გოდუაძე

სააგენტოს უფროსის მოადგილე

ზაზა ქათამაძე

დირექტორი

შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-სა და სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს შორის 2016 წლის -- სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №84(ბ) ხელშეკრულების დანართი №2

1. პლასტიკური ბარათი და მისი მოხმარების წესები

2.1 პლასტიკური ბარათის მიღების საფუძველია მყიდველის (ან წერილობითი მინდობილობით აღჭურვილი პირის) მიერ წერილობითი განაცხადი.

2.2 გამყიდველი პლასტიკურ ბარათს დაამზადებს და მყიდველს გადასცემს განაცხადის გაკეთებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა. პლასტიკური ბარათი წარმოადგენს გამყიდველის საკუთრებას და მყიდველს გადაეცემა დროებით სარგებლობის უფლებით.

2.3 პლასტიკური ბარათი მყიდველს გადაეცემა 2.1, 2.2, პუნქტებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულების შემდეგ.

2.4 მყიდველის მიერ პლასტიკური ბარათის დაკარგვის ან მექანიკური ზემოქმედების შედეგად (განზრახ ან დაუდევრობით) დაზიანების შემთხვევაში უნდა მოხდეს ბარათის დაბლოკვა შემსყიდველის მიერ ინტერნეტ ანგარიშის საშუალებით. ახალი ბარათი გაიცემა მყიდველის მიერ გაკეთებული განაცხადის საფუძველზე.

2.5 წინამდებრე ხელშეკრულების 2.7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისას მყიდველი გამყიდველს მიყენებული ზიანისათვის ყოველი დაზიანებული (ან დაკარგული) ბარათისათვის ჯარიმის სახით უხდის პლასტიკური ბარათის საინვოისო ღირებულებას. ხოლო, პლასტიკური ბარათის „ელექტრონული ჩიპის“ მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, მისი გამოცვლა ხდება მყიდველის განაცხადის საფუძველზე, გამყიდველის ხარჯით.

2.6 თუ პლასტიკური ბარათი ექვსი თვის განმავლობაში არ იქნება გამოყენებული მისი მოქმედება შეჩერდება, ხოლო მისი გააქტიურება მოხდება მყიდველის მოთხოვნისთანავე ბარათის გამყიდველის ოფისში წარდგენისას.

*2.7 **მყიდველი დამოუკიდებლად უზრუნველყოფს პლასტიკური ბარათის შენახვას შემდეგი პირობების დაცვით:***

- პლასტიკური ბარათის შენახვის ტემპერატურაა -20^0 $+55^0$ C
- აუცილებელია მიკროსქემის დაცვა დაბინძურებისა და მასზე სხვადასხვა სახის ზემოქმედებისგან.

2.8 დაუშვებელია პლასტიკურ ბართზე ძალისმიერი ზემოქმედება (გაღუნვა და სხვა ტიპის დაზიანება).

2.9 ავტოგასამართ სადგურზე პლასტიკური ბარათით საწვავის ჩასხმისას, მყიდველი ვალდებულია, ავტოგასამართი სადგურის თანამშრომელს დაუსახელოს ჩასასხმელი საწვავის სახეობა და რაოდენობა.

2.10 ავტოგასამართ სადგურზე პლასტიკური ბარათით საწვავი არ გაიცემა:

- დაზიანებული პლასტიკური ბარათის საშუალებით.
- თუ პლასტიკური ბარათი არ გამოიყენებოდა ექვსი თვის განმავლობაში და მის აღდგენაზე მყიდველს არ გაუკეთებია განაცხადი და არ წარუდგენია ბარათი გასააქტიურებლად.
- ამოიწურა საწვავის მიღებისათვის განსაზღვრული ლიმიტი.
- პლასტიკურ ბარათზე არ არის მყიდველის მიერ მოთხოვნილი საწვავის საკმარისი რაოდენობა.

2. პლასტიკური ბარათით განსაზღვრული მომსახურება

3.1 პლასტიკური ბარათი მოიცავს მომსახურების შემდეგ ფორმებს:

- სალიმიტე სქემა – დღიური, ყოველთვიური ან ყოველკვირეული ხარჯვის ლიმიტი სურვილისამებრ
- ОП – გადავადებული შევსება (საწვავის შევსება ტერმინალით აგს-ზე)
- მყიდველის მიერ საწვავის ინტერნეტ საშუალებით გადანაწილება და ხარჯის კონტროლი.
- ОИЛ - მიერ ლიმიტის გადავადებული ცვლილება (ლიმიტის ცვლილება ტერმინალით აგს-ზე).

4. პლასტიკური ბარათის მეშვეობით საწვავის შეძენის პირობები

4.1 პლასტიკური ბარათით საწვავის შეძენის საფუძველს წარმოადგენს მყიდველის მიერ წერილობით წარმოდგენილი საწვავის შეძენის შესახებ განაცხადი (დანართი №3, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და არსებობის შემთხვევაში, ბეჭდით.

4.2 პლასტიკურ ბარათზე ჩარიცხული საწვავის ფასი ასევე მოიცავს პლასტიკური ბარათთან დაკავშირებულ მომსახურების ყველა ხარჯს.

შემსყიდველი:
სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
მისამართი: ქ. თბილისი, გულუას № 6.
ს/კ 204578581. ტელ: 2753910. საბანკო რეკვიზიტები:
ცენტრალური ხაზინა, კოდი TRESGE22,
ა/ა GE24NB0330100200165022. (კოდი380401)

ირაკლი გოდუაძე

სააგენტოს უფროსის მოადგილე

მიმწოდებელი:
შპს „ლუკოილ-ჯორჯია“
მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარედ
ტელ: 238 99 97; ფაქსი: 238 99 92;
საიდენტიფიკაციო კოდი 204976302

<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>
საქართველოს ბანკის ც.ფ.
კოდი BAGAGE22
ანგარიშის № GE52BG0000000117398101

ზაზა ქათამაძე

დირექტორი

შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-სა და სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს შორის 2016 წლის -- სექტემბერს გაფორმებული
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 84 (ბ) ხელშეკრულების დანართი №3
ორგანიზაციის ანგარიშზე
დასარიცხი საწვავის მოთხოვნის ფორმა

,,--------'' ,,----------'' 2016 წელი

1. ორგანიზაციის დასახელება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

2. საიდენტიფიკაციო კოდი

2	0	4	5	7	8	5	8	1

3. განაცხადზე პასუხისმგებელი პირი*:

გვარი, სახელი ირაკლი გოდუაძე

ტელ; მობ. 899 88 00 11

5.

	პრემიუმი
ლიტრაჟი	400 ლიტრი

ბ.ა.

/განაცხადზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა/

ბ.ა

/განაცხადის მიმღების ხელმოწერა/

შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-სა და სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს შორის 2016 წლის -- სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №84 (ბ) ხელშეკრულების დანართი №4

განაცხადი პლასტიკური ბარათების დამზადებაზე

წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გთხოვთ დაგვიმზადოთ პლასტიკური ბარათები

საწვავის სახეობა	ბარათების რაოდენობა (ცალი)	ავტომანქანების სანომრე ნიშნები
პრემიუმი	1 ცალი	GN-038-FA;

საკონტაქტო პირი: ირაკლი ბარამიძე
მობ: ნომერი 599 88 00 89

შემსყიდველი:
სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
მისამართი: ქ. თბილისი, გულუას № 6.
ს/კ 204578581. ტელ: 2753910. საბანკო რეკვიზიტები:
ცენტრალური ხაზინა, კოდი TRESGE22,
ა/ა GE24NB0330100200165022. (კოდი380401)

მიმწოდებელი:
შპს „ლუკოილ-ჯორჯია“
მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარედ
ტელ: 238 99 97; ფაქსი: 238 99 92;
საიდენტიფიკაციო კოდი 204976302

<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>
საქართველოს ბანკის ც.ფ.
კოდი BAGAGE22
ანგარიშის № GE52BG0000000117398101

ირაკლი გოდუაძე
სააგენტოს უფროსის მოადგილე

ზაზა ქათამაძე
დირექტორი

შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-სა და სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს შორის 2016 წლის -- სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 84 (ბ) ხელშეკრულების დანართი №5

ინტერნეტ-გადანაწილების სერვისის გააქტიურება

1. „შემსყიდველი“ საწვავის ინტერნეტ-გადანაწილების სერვისის გააქტიურებისათვის „მიმწოდებლის“ ელექტრონულ მისამართზე **card@lukoil.ge** გააგზავნის პაროლსა და მომხმარებლის სახელს მხოლოდ ლათინური ასოებით.

   მხოლოდ „შემსყიდველი“-ს მიერ მითითებული შემდეგი ელექტრონული მისამართიდან i.baramidze@yahoo.com.

2. მიღებული შეტყობინების საფუძველზე გააქტიურდება „შემსყიდველს“ საწვავის ინტერნეტ-გადანაწილების სერვისი.

3. „შემსყიდველი“-ს მხრიდან ელექტრონულ მისამართზე, მომხმარებლის სახელსა და პაროლზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს: ირაკლი ბარამიძე – სააგენტოს ფინანსური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.

4. „შემსყიდველი“-ს მიერ მითითებული ელექტრონული მისამართი, პაროლი და მომხმარებლის სახელი წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და „შემსყიდველი“-ს მიერ მისი მესამე პირებზე გადაცემისა და გამოყენების შემთხვევაში „მიმწოდებელს“ პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

შემსყიდველი:
სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
მისამართი: ქ. თბილისი, გულუას № 6.
ს/კ 204578581. ტელ: 2753910. საბანკო რეკვიზიტები:
ცენტრალური ხაზინა, კოდი TRESGE22,
ა/ა GE24NB0330100200165022. (კოდი380401)

ირაკლი გოდუაძე

სააგენტოს უფროსის მოადგილე

მიმწოდებელი:
შპს „ლუკოილ-ჯორჯია“
მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარედ
ტელ: 238 99 97; ფაქსი: 238 99 92;
საიდენტიფიკაციო კოდი 204976302

<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>
საქართველოს ბანკის ც.ფ.
კოდი BAGAGE22
ანგარიშის № GE52BG0000000117398101

ზაზა ქათამაძე

დირექტორი